საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990179071567818

№02/66 **15 / ნოემბერი / 2018 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისათვის სტატუსის მოხსნის შესახებ

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგილი საკითხების სექციის 2018 წლის 10 ოქტომბრის N17 გადაწყვეტილებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი" თავდაცვით ნაგებობას", (მისამართი - საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიხედვით, ქ. ბათუმი, იაკობ გოგებაშვილის ქ. N1; ფაქტობრივი მისამართი - ნინოშვილის ქ.);

2. ეთხოვოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის N3/165 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ბრძანების დანართი N1-დან რიგითი N75-ის "ნინოშვილის ქ" და დანართი N2-დან კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N020101001-ის ბრძანების დანართიდან ამოღება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ.თბილისი, უზნაძის ქ. N52).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი